



ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის მერის ბ რ ძ ა ნ ე ბ ა



ბრძანება:ბ92. 92231445

თარიღი:24/05/2023

ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის მერიაში, პროფესიული საჯარო მოხელის ვაკანტური თანამდებობის დაკავების მიზნით, ღია და დახურული კონკურსის გამოცხადებისა და საკონკურსო კომისიის შექმნის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 54-ე მუხლის პირველი ნაწილის „ე“ პუნქტის „ე-ე“ ქვეპუნქტის, საქართველოს კანონის „საჯარო სამსახურის შესახებ“, 37-ე მუხლის და საქართველოს მთავრობის 2017 წლის 21 აპრილის N204-ე დადგენილების მე-6-ე მუხლის პირველი ნაწილის, მე-14-ე მუხლის პირველი და მეორე პუნქტის შესაბამისად

ბრძანებ:

მუხლი 1. გამოცხადდეს ღია და დახურული კონკურსი, ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის მერიის, პროფესიული საჯარო მოხელის ვაკანტური თანამდებობის დასაკავებლად, დანართის შესაბამისად, საჯარო სამსახურის ბიუროს მიერ ადმინისტრირებული ვებ. გვერდის /www.hr.gov.ge/ მეშვეობით.

მუხლი 2. შეიქმნას, ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის მერიაში პროფესიული საჯარო მოხელის ვაკანტური თანამდებობის დაკავების მიზნით საკონკურსო კომისია.

მუხლი 3. ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის მერიის, საკონკურსო კომისიის თავმჯდომარედ დაინიშნოს ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის მერიის, I რანგის საჯარო დაწესებულების პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი - ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის მერიის, ადმინისტრაციული სამსახურის უფროსი გიორგი მჭედლიშვილი.

მუხლი 4. ბრძანება ძალაში შედის ხელმოწერისთანავე.

მუხლი 5. ბრძანების გასაჩივრება შესაძლებელია გაცნობიდან ერთი თვის განმავლობაში გურჯაანის რაიონულ სასამართლოში შემდეგ მისამართზე: ქ. გურჯაანი, სანაპიროს ქუჩა №24.

ჯონდო მდივნიშვილი

ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის მერია-მერი

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი

